EUROPEAN

POLICYBRIEF

MYWEB: MEASURING YOUTH WELL-BEING

საქართველოში ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის გრძელვადიანი კვლევის მნიშვნელობა

THE IMPORTANCE OF A LONGITUDINAL STUDY ON THE WELL-BEING OF CHILDREN AND YOUNG PEOPLE IN GEORGIA

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი „**საქართველოში ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის გრძელვადიანი კვლევის მნიშვნელობა**“, რომელიც ევროკავშირის MYWeB პროექტის ფარგლებში მომზადდა, ხაზს უსვამს საქართველოსთვის ახალგაზრდებისა და ბავშვების კეთილდღეობის კვლევის მნიშვნელობას და წარმოადგენს რეკომენდაციებს მთავრობისთვის და საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

პროექტი MYWeB 2014 წლის მარტში დაიწყო

2016 წლის ივნისი

მოკლე შეჯამება ინგლისურ ენაზე

The policy brief aims to show the importance of a larger scale longitudinal study focusing on young people and children in Georgia. The study would significantly contribute to the development of targeted youth policy in Georgia and support the work of international and local non-governmental organisations focusing on children and young people. The study would also address the issue of compatibility of youth policy and programs to the needs of children and young people in Georgia and follow the wish of young people to have their voices heard.

The policy brief is based on: (1) review of literature, policy and existing research on young people and children in Georgia, written by CRRC-Georgia in September 2014, (2) qualitative interviews with key informants, (3) data from focus groups and interviews with young people conducted by CRRC-Georgia in November 2014 and (4) data from the online survey conducted with experts in the children and youth affairs in Georgia in October, December 2014 and February 2015.

In 2014, the Ministry of Sports and Youth Affairs of Georgia adopted the National Youth Policy document, which sets as its main goal "encouraging the establishment of a relevant environment for comprehensive youth development in order for young people to fully realise their potential and be actively involved in all spheres of the public life". The number one principle of the youth policy is "Evidence, knowledge, and experience-based decision making".[1]

In interviews for the MYWeB project, young people (15-18) expressed the necessity for society to hear their voices. They stated it was very important to research their well-being so that "the government will know what is important for teenagers and develop relevant policy" (16-year-old male respondent). All the interview and focus group participants confirmed their wish and readiness to participate in further research.

Experts surveyed within the MYWeB project who work on issues of children and young people, say many organisations work on youth issues; however, a systematic approach is needed that unites the government, the European Union, and international organisations. In Georgia, respondents of key informant interviews, as well as representatives of state and non-governmental organisations, clearly state that high quality reliable data remain a challenge in Georgia. Data related to youth are collected for individual projects by different organisations. This complicates the comparison. Therefore, there is a need for a longitudinal data collection initiative.

Based on the interviews and focus groups with young people and state and non-governmental actors working on youth affairs, the following recommendations are outlined:

- There is a need for a longitudinal survey that will collect reliable and high quality data;
- There is a need for a survey that will focus on subjective factors of well-being of children and young people;
- There is lack of research studying actual living conditions and environment of children and young people. There is a need for including a component exploring "worlds" of children and young people in the survey;
- There is a need for a sampling strategy of the survey that will ensure comparison by not only age and gender, but ethnicity, social status, household income and settlement type.

პროექტი MYWEB

პროექტი MYWEB (ახალგაზრდების კეთილდღეობის კვლევა) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც იკვლევს, რამდენად შესაძლებელია „ბავშვებისა და ახალგაზრდების ევროპული გრძელვადიანი კვლევის" (European Longitudinal Study for Children and Young People - ELSCYP) ჩატარება მათი კეთილდღეობის შესასწავლად. ევროპის 11 ქვეყნის (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ლატვია, პორტუგალია, საბერძნეთი, საქართველო, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია) 13 უნივერსიტეტი და კვლევითი ორგანიზაცია

[1] The Georgian National Youth Policy Document available at: http://msy.gov.ge/files/Youth_Policy_(Engl)_Final_July_2014.pdf (last accessed on July 4 2016)

ერთობლივად მუშაობს იმ ინფორმაციის გამოსავლენად, რაც უკვე არსებობს ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის საკითხებზე. ეს ინფორმაცია მოიცავს ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებს და იმ გამოწვევებს, რაც ასეთი დიდი მასშტაბის კვლევის ჩატარებას სდევს თან.

პროექტი ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე:

- კეთილდღეობის ობიექტური და სუბიექტური გაზომვა
- ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სიღარიბის გაზომვა
- მდგომარეობა ოჯახში, მათ შორის მშობლების დაშორება და ოჯახების ხელახლა შექმნა და ამის გავლენა ბავშვებზე
- ბავშვების/ახალგაზრდების გამოცდილება სასწავლო დაწესებულებებსა და სახლში
- სწავლიდან მუშაობაზე გადასვლა
- ახალგაზრდებში ურთიერთობების ჩამოყალიბება და დინამიკა
- სამეგობრო წრის ჩამოყალიბება და დინამიკა
- ორგანიზაციებში/წრეებში ჩართულობა, სამოქალაქო და გასართობი აქტივობები
- საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის შესწავლა.

პროექტი სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს, რის შედეგადაც გროვდება ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია ევროპაში საჯარო პოლიტიკის მესვეურთათვის, რომ წინ წამოიწიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხები. პროექტის კომპონენტებია:

- კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტზე ახალგაზრდების აზრის შესწავლა. ამგვარად ახალგაზრდები ერთვებიან კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებაში და მონაცემების შეგროვების შესაბამისი გზების შერჩევაში
- მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და პრაქტიკოსი ექსპერტების მოსაზრებების შესწავლა კეთილდღეობაზე მონაცემების შეგროვებისა და გამოყენებისთვის შესაბამისი სტრატეგიის დასადგენად
- არსებული მონაცემების წყაროების გამოვლენა
- კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიის შეფასება
- „ბავშვებისა და ახალგაზრდების ევროპული გრძელვადიანი კვლევის“ (ELSCYP) ხარჯისა და სარგებლის ანალიზი.

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, აჩვენოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ფართომასშტაბიანი განმეორებითი კვლევის მნიშვნელობა საქართველოში და ამ კვლევის გამოყენების შესაძლებლობები პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვის პროცესში. ასეთი კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოში ახალგაზრდებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავებას და საჭირო მონაცემებს შეაგროვებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხებზე მუშაობენ. მოცემული კვლევა ასევე უზრუნველყოფს ახალგაზრდების და ბავშვების აზრის გათვალისწინებას პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

მოსაზრებები და ანალიზი

საჯარო პოლიტიკის მოცემული დოკუმენტი ეყრდნობა ლიტერატურის, არსებული პოლიტიკისა და კვლევების მიმოხილვას ბავშვებსა და ახალგაზრდებზე საქართველოში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერაა მომზადებული 2014 წლის სექტემბერში, თვისებრივ ინტერვიუებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი ასევე იყენებს მონაცემებს

ფოკუს ჯგუფებიდან და ინტერვიუებიდან, რომლებიც CRRC-საქართველომ ახალგაზრდებთან ჩაატარა 2014 წლის ნოემბერში და რაოდენობრივ ონლაინ გამოკითხვას, რომელიც პარტნიორ ქვეყნებში ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან ჩატარდა სამ ტალღად 2014 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში და 2015 წლის თებერვალში.

საქართველოში ახალგაზრდების კეთილდღეობა საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. 2014 წელს დამტკიცებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი თავის უპირატეს მიზნად განსაზღვრავს „ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს" შექმნის ხელშეწყობას. ამის მისაღწევად ახალგაზრდული პოლიტიკა სხვა ნაბიჯებთან ერთად უზრუნველყოფს ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობას საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ახალგაზრდული პოლიტიკის პირველი პრინციპი კი შემდეგია: „სარწმუნო მონაცემებზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება".[2] შესაბამისად, გაცხადებულია ახალგაზრდების შესახებ სარწმუნო მონაცემების საჭიროება.

თავის მხრივ, ახალგაზრდები (15-დან 18 წლამდე), რომლებიც პროექტ MYWEB-ის ფარგლებში გამოიკითხნენ, თვლიან, რომ აუცილებელია, „მათი ხმა ესმოდეს" საზოგადოებას. ისინი ამბობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობის კვლევა, რადგანაც ამ გზით „მთავრობა გაიგებს, რა არის მნიშვნელოვანი თინეიჯერებისთვის და პოლიტიკასაც შესაბამისად შეადგენს".[3] ასევე, ამ გზით მათი საჭიროებები წინ წამოიწევს. კვლევის ყველა მონაწილემ გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს მომავალ გამოკითხვებში.

MYWEB-ის პროექტის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები[4], რომლებიც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, თვლიან, რომ ბევრი ორგანიზაცია მუშაობს ახალგაზრდობის საკითხებზე, თუმცა, საჭიროა სისტემური მიდგომა, რაც მთავრობას, ევროკავშირსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს გააერთიანებს. მნიშვნელოვანია ემპირიული მონაცემების როლი სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში, განსაკუთრებით საჯარო პოლიტიკის შედეგების უკეთესად გაგებისა და პროგრესის მონიტორინგის პროცესში. რესპონდენტების თქმით, განმეორებითი გრძელვადიანი გამოკითხვა შეავსებს მონაცემების კუთხით არსებულ ხარვეზებს და შესაძლებელს გახდის, ახალგაზრდების კეთილდღეობის შეფასებაში ობიექტურთან ერთად სუბიექტური ფაქტორების გამოყენებას. გრძელვადიანმა განმეორებითმა გამოკითხვამ შეიძლება, მოიცვას ახალგაზრდების მიგრაციის და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სერვისების მიწოდების კოორდინაციის საკითხები, ასევე, გამოიკვლიოს ახალგაზრდების აღქმა სკოლის შემდგომ სამსახურებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე.

მნიშვნელობა საჯარო პოლიტიკისთვის და რეკომენდაციები

UNICEF საქართველოს, ევროპის ფონდი საქართველოს[5] და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები თვისებრივ ინტერვიუებში ნათლად აფიქსირებენ, რომ საქართველოში გრძელვადიანი განმეორებითი კვლევა და მაღალი ხარისხის მონაცემები გამოწვევად რჩება. ახალგაზრდებთან დაკავშირებული მონაცემები ცალკეული პროექტებისთვის გროვდება ცალკეული ორგანიზაციების მიერ. ეს კი ართულებს შედარებების

[2] ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო. 2014. http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=210
[3] ციტატა ინტერვიუდან, 16 წლის ბიჭი, თბილისი
[4] MYWEB, Delphi-ს გამოკითხვა. 2014-2015. http://fp7-myweb.eu/delphi/delphi-results
[5] გამოკითხვის პერიოდისთვის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი საქართველო

გაკეთებას. მათი თქმით, არსებობს მონაცემების შეგროვების გრძელვადიანი ინიციატივის საჭიროება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე ზრუნვის მაღალი მოტივაცია აქვს.

ექსპერტების გამოკითხვასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა გრძელვადიანი და განმეორებითი გამოკითხვა, რომელიც სანდო და ხარისხიან მონაცემებს მოუყრის თავს.
- საჭიროა ისეთი გამოკითხვა, რომელიც ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის სუბიექტურ ფაქტორებზე გაამახვილებს ყურადღებას.
- მცირეა ისეთი კვლევები, რომლებიც ბავშვებისა და ახალგაზრდების რეალურ საცხოვრებელ პირობებსა და გარემოს შეისწავლის. საჭიროა გამოკითხვაში ბავშვებისა და ახალგაზრდების „სამყაროს“ შემსწავლელი კომპონენტების ჩასმა.
- გამოკითხვისთვის საჭიროა ისეთი შერჩევის სტრატეგიის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს შედარება არა მხოლოდ ასაკისა და სქესის მიხედვით, არამედ ეთნიკურობის, სოციალური სტატუსის, შინამეურნეობის შემოსავლის, დასახლების ტიპის მიხედვით.

კვლევის პარამეტრები

MYWEB-ის პროექტი საქართველოში მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხებზე ლიტერატურის, არსებული პოლიტიკისა და კვლევების მიმოხილვა ბავშვებსა და ახალგაზრდებზე საქართველოში, რომელიც CRRC-საქართველომ 2014 წლის სექტემბერში მოამზადა. ამ მიმოხილვას თან ერთვის ინფორმაცია თვისებრივი ინტერვიუებიდან UNICEF საქართველოს, ევროპის ფონდ საქართველოს და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. ინტერვიუები და მიმოხილვა ხაზს უსვამს სანდო და გრძელვადიანი მონაცემების საჭიროებას ახალგაზრდებსა და ბავშვებზე.

- Delphi-ს გამოკითხვა - ონლაინ გამოკითხვა ახალგაზრდებისა და ბავშვების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გამოკითხვა სამ ეტაპად განხორციელდა (2014 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში და 2015 წლის თებერვალში) და აგროვებდა ინფორმაციას და მოსაზრებებს ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ ქვეყანაში არსებული მონაცემების, კეთილდღეობის მათეული გაგების, ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის შესწავლის გზების შესახებ. ამ გამოკითხვების დროს რესპონდენტებმა ცალსახად დააფიქსირეს გრძელვადიანი სისტემური მონაცემების არსებობის საჭიროება ბავშვებსა და ახალგაზრდებზე და მათი კეთილდღეობის შესწავლაში ობიექტურთან ერთად სუბიექტური ფაქტორების, მათი საკუთარი აღქმის ჩართვის აუცილებლობა.

- ფოკუს ჯგუფები და თვისებრივი ინტერვიუები ბავშვებთან და ახალგაზრდებთან. 2014 წლის ნოემბერში ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი (10-12 წლის ბავშვებთან, 15-16 წლის ახალგაზრდებთან, 17-19 წლის ახალგაზრდებთან, რომლებიც არ იყვნენ ჩართული რამენაირ აქტივობაში სკოლის გარეთ და 17-18 წლის ახალგაზრდებთან, რომლებიც სკოლის გარეთ სხვა აქტივობებით იყვნენ დაკავებული) და 20 ინტერვიუ 10-დან 18 წლამდე ბავშვებთან და ახალგაზრდებთან. ფოკუს ჯგუფებსა და ინტერვიუებში გამოჩნდა ახალგაზრდების მიერ საკუთარი კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც

ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მოიცავდა საზოგადოების მხრიდან მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების მიმართ ყურადღებას.

პროექტის დეტალები

პროექტის სახელი	ახალგაზრდების კეთილდღეობის გაზომვა (MYWEB)
კოორდინატორი	პროფესორი გარი პოლოკი, მანჩესტერის მეტროპოლიტან უნივერსიტეტი G.pollock@mmu.ac.uk.
კონსორციუმი	მანჩესტერის მეტროპოლიტან უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია პომპეუ ფაბრა უნივერსიტეტი, ესპანეთი ივო პილარის ინსტიტუტი, ხორვატია დებრეჩენის უნივერსიტეტი, უნგრეთი დაუგავპილსის უნივერსიტეტი, ლატვია პანთეიონის უნივერსიტეტი, საბერძნეთი ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი SS კირილ და მეთოდიუსის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი ლისაბონის უნივერსიტეტი, პორტუგალია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საქართველო ესექსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი ქემბრიჯის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
დაფინანსების სქემა	FP7 ევროკავშირის ჩარჩო პროგრამა კვლევისთვის - მხარდაჭერის კოორდინირება
ხანგრძლივობა	30 თვე
ბიუჯეტი	ევროკავშირის კონტრიბუცია: 1.49 მილიონი ევრო
ვებგვერდი	www.fp7-myweb.eu